საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თამარ ალფაიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	15	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	15	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	20
პროფესიული თვისებები	9	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	67	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 19.07.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 19 ივლისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (1 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 2 ივლისის №1/53 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამარ ალფაიძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. ***„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია***:

2.1.1. „კანდიდატი“ 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ; დოქტორი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 24 წელია, კერძოდ:

- 2000-2005 წლები, სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);

- 2005-2007 წლები, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტში; მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;

ხელმოწერა:

- 2006-2009 წლები, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი;

- 2009-2015 წლები, ასოცირებული პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი;

- 2016-2023 წლები, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი;

- 2023 წლიდან - დღემდე, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

- 2022 წლიდან - დღემდე, მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი, თსუ;

- 2016 წლიდან - 2023 წლის მაისამდე, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ „კანდიდატის" თავისუფალი აზროვნების უნარს, დამოუკიდებლობას, პრინციპულობას, კომუნიკაბელურობას, სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმას, ლიდერულ თვისებებს და მისწრაფებებს, კრიტიკულ აზროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას, ამასთან განმარტავს, რომ „კანდიდატს" პირად ურთიერთობებში გარკვეულწილად შეუძლია მორალური პრინციპების დაცვა, თუმცა მან ვერ შეძლო ნდობის მოპოვება, რადგან პიროვნული თვისებების გამოვლენაში არ არის თანმიმდევრული და საიმედო, რეკომენდატორი ფიქრობს, რომ „კანდიდატმა" ნაკლები იმუშავა რეპუტაციის შესანარჩუნებლად ან მისი სურვილი და შესაძლებლობა დროში არ დაემთხვა ერთმანეთს. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს: გადაჭარბებული ამბიცია და ზედმეტი გართობა.

გამოკითხული რესპონდენტებიდან ერთი რესპონდენტი „კანდიდატის" პირად თვისებებს არ იცნობს კარგად, ხოლო მის პროფესიულ კვალიფიკაციას იცნობს საშუალოდ. მეორე რესპონდენტი „კანდიდატის" პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ, ხოლო პროფესიულ კვალიფიკაციას - კარგად. ერთი რესპონდენტის აზრით, „კანდიდატი" აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მეორე გამოკითხული რესპონდენტი მიუთითებს, რომ კანდიდატი ზოგიერთ შემთხვევაში აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპონდენტი „კანდიდატს" აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად ან ძალიან კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპონდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და

ხელმოწერა:

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატობის შესახებ. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის“ სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი - 2849 კვ.მ., ვანის რაიონის სოფელი ფერეთა. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია.

2.1.5. 2021 წლის 2 ივლისიდან 2024 წლის 2 ივლისის ჩათვლით პერიოდში, თამარ ალფაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 16 ფაქტი. დაკისრებული სანქციები (ჯარიმები) გადახდილია დროულად. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „კანდიდატის“ მიმართ შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 6 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ყველა ჯარიმა გადახდილია დროულად.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში, კერძოდ: მოსარჩელე - სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ხელშეკრულების შეწყვეტა, ფულადი ვალდებულების შესრულება; მოსარჩელე - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი - ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად აღმოცენებული ფულადი თანხის დაკისრება.

„კანდიდატი“ დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მისი სტატიები: „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“; „სამართლისა და მორალის ევოლუცია“; სამართლებრივი დასკვნა/მოსაზრება - „ჰუმანური სამართალი“; ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება.

2.1.8. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი; International Human Rights – University de Catolique; Leaders of Learning – Harvard University და ა.შ).

2.1.9. „კანდიდატი“ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: 2016-2023 წლები, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, პროფესორი; 2009-2015 წლები, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; 2006-2009 წლები,

ხელმოწერა:

საქართველოს უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; 2005-2007 წლები, კავკასიის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; 2023 წლიდან, კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი; 2022 წლიდან, თსუ, მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის მასწავლებელი.

„კანდიდატს" გამოქვეყნებული აქვს სტატიები: სამართლებრივი მონოგრაფია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები; მედია სამართალი; შესავალი სამართალმცოდნეობაში; სამართალმცოდნეობის შესავალი.

2.1.10. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

2.2. ***კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:***

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატმა" ძირითად შემთხვევაში თავი შეიკავა კითხვებზე პასუხის გაცემისაგან, ასევე გამოვლინდა რიგი საკითხების ცოდნაში ხარვეზის შემთხვევები.

კერძოდ: „კანდიდატმა" პასუხი გასცა მხოლოდ ერთ შეკითხვას, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფოს სიმბოლოებს. ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტს შორის არსებულ განსხვავებაზე დასმულ შეკითხვაზე სრულყოფილი განმარტება ვერ გააკეთა, ასევე ზედაპირული პასუხი გასცა შეკითხვას, ნორმატიული აქტის განმარტებაზე. „კანდიდატმა" ვერ ისაუბრა სარჩელის ფორმებზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე ვერ უპასუხა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას. კონვენციასა და დეკლარაციას შორის არსებულ განსხვავებაზე დასმულ შეკითხვას პასუხი არ გასცა.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა";

ხელმოწერა:

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე) კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის ცოდნა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრების მიმდინარეობისას „კანდიდატმა“ პასუხი გასცა მხოლოდ ერთ შეკითხვას, სხვა შემთხვევაში მისი პასუხები იყო არასწორი, არადამაჯერებელი, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ არ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების უნარი და სათანადო პროფესიული გამოცდილებაც, თუმცა გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ სამართლის თეორიული საკითხების გარშემო „კანდიდატის“ მოსაზრებები მოკლებულია სიღრმეს და ნაკლებად დამაჯერებელია. ზოგიერთი საკითხის განხილვისას „კანდიდატს“ ან საერთოდ არ ჰქონდა პასუხი, ან პასუხები ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი იყო.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკურია. იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა რთულად აღსაქმელი არ არის. რაც შეეხება, „კანდიდატის“ ზეპირი კომუნიკაციის უნარებს, იგი ხშირ შემთხვევაში მშვიდად საუბრობს, მაგრამ გაურკვეველად, მსჯელობები არათანმიმდევრული და არასრულია.

4.1.4. „კანდიდატი“ შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, თუმცა აღსანიშნავია ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითება მის სისუსტესა და ნაკლოვანებაზე, კერძოდ, იგი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას, რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ „კანდიდატმა“ ვერ შეძლო ნდობის მოპოვება, რადგან პიროვნული თვისებების გამოვლენაში არ არის თანმიმდევრული და საიმედო. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს „კანდიდატის“გადაჭარბებული ამბიციასა და ზედმეტი გართობაზე. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპონდენტი „კანდიდატს“

ხელმოწერა:

აფასებს ზოგიერთ შემთხვევაში კარგად ან ძალიან კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. მეორე რესპონდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

4.1.5. „კანდიდატს" გააჩნია სიახლეების მიმართ ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მიმაჩნია, რომ „კანდიდატს" შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.

4.1.6. „კანდიდატს" წარმოდგენილი აქვს სტატიები: „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება"; „სამართლისა და მორალის ევოლუცია"; სამართლებრივი დასკვნა/მოსაზრება - „ჰუმანური სამართალი"; ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება. ასევე, „კანდიდატს" გამოქვეყნებული აქვს სტატიები: სამართლებრივი მონოგრაფია - მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები; მედია სამართალი; შესავალი სამართალმცოდნეობაში; სამართალმცოდნეობის შესავალი. ამასთან, „კანდიდატს" მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ღონისძიებებში (მაგ: JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი; International Human Rights – University de Catolique; Leaders of Learning – Harvard University და ა.შ).

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი თამარ ალფაიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 67 ქულით.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 15;

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 15;

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები - 14;

4. პროფესიული თვისებები - 9;

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 9;

6. პროფესიული აქტივობა - 5.

ვასილ მშვენიერაძე

ხელმოწერა: